15-ს მაისს. | წელიწადი მესამე. | 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 10.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რ[illegible]ს საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტ[illegible]ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები[illegible]ვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შ[illegible]ით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონ[illegible]ბი, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში [illegible]ება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## წინანდელი და ახლანდელი მდგომარეობა ჩვენი მონასტრებისა და მათი ზნეობრივი გავლენა ხალხზე.

**ყ**ველამ კარგად იცის და ახსოვს კიდეც, თუ რა დიდი სარგებლობა მოჰქონდა ხალხისათვის მონასტრებს და მათში მყოფ და მცხოვრებ შავ სასულიერო წოდებას. ამ მონასტრებიდამ ეფინებოდა მთელს საზოგადოებას სწავლა-განათლება, ამ მონასტრებიდგან გამოდიოდნენ განათლებულნი სამღვდელო პირნი, რომელნიც მშვენიერად მწყსიდენ სამრევლოთა და მტკიცედ ასრულებდნენ მღვდლობის მოვალეობას; მონასტრებში იწერებოდა საღმრთო და საეკკლესიო წიგნები, რომელთა ხელ-ნაწერებს ვერ გაარჩევს დღეს კაცი ნაბეჭდი წიგნებისაგან. მონასტრებში არსებობდნენ სკოლები ხალხის აღსაზრდელად. მონასტრები იყვნენ ნავთ-საყუდელი დევნულთა და გაჭირებულთათვის. აქ იღებდა დიდი და პატარა ჭეშმარიტ დარიგებას ცხოვრებაში გამოსადეგს. თვითონ ბერები თუმცა განსრულნი და განდეგილნი იყვნენ ამ ქვეყნიური ცხოვრებისაგან, მაგრამ, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, ისინი გამოდიოდნენ ხალხში და ყოველივე გაჭირებაში ხალხის წინამძღოლელად ხდებოდნენ. როდესაც ხედავდნენ ეს წმიდა მამანი ქრისტეს სარწმუნოების დამცირებას, ისინი თავ-გამომეტებით იბრძოდნენ და მზათ იყვნენ თავის ზიცოცხლე შეეწირათ სარწმუნოებისათვის. ერთი სიტყვით ხალხი უყურებდა მონასტრებში მოღვაწე პირთა როგორც თავიანთ სულიერ მამათ და მზრუნველთ და დიდი პატივის ცემაც ჰქონდათ ამ უკანასკნელთ ხალხის წინაშე.

**ა**მასთან უწინდელ დროში ბერები ყოველივე ღონისძიებას ხმარობდნენ და ცდილობდნენ მონასტრები შეემკოთ შესაფერად და ხალხის შეწირულება მოეხმარათ რიგიანად. მონასტრებში ხალხს იზიდავდა, სხვათა შორის, ამ მონასტრების მშვენიერი მორთულობა, გულის და სულის დამატკბობელი გაწყობილი წირვა-ლოცვა და გალობა.

**ძ**ველ დროში მაღალი წოდების პირნიც მიდიოდნენ ბერებად იმ აზრით, რომ მთლად შეეწირათ თავისი სიცოცხლე ქრისტეს სარწმუნოების და ხალხის კეთილ-დღეობისათვის.

**მ**აგრამ დღეს, სამწუხაროდ, დრო შეიცვალა; იმას ველარ ვხედავთ მონასტრებში, რასაც ვხედავდით წინეთ. ამ მონასტრებში აღარ არიან სკოლები; აღარ გამოდიან მათგან ნასწავლი სამღვდელო

პირები. წინანდელ დროში ხალხი უკანასკნელ ქონებას არ ზოგავდა ამ მონასტრების გასამშვენებლად. დღეს ნაცვლად ამისა ყოველივე ღონისძიებით ცდილობენ მონასტრების ქონების ჩამოკლებას. რაც შეუწირავსთ მონასტრებისთვის ეხლანდელ თავადაზნაურობის წინაპართა, დღეს ამ შეწირულებას უკანვე იბრუნებს მათი შთამომავლობა და თუ სასამართლოით ვერ იგებს, მაშინ ძალადობით ცდილობს წართმევას. დაიკარგა ხალხში ის პატივის ცემა მონასტრებისა და ბერებისადმი, რომელიც წინეთ ასე დამკვიდრებული იყო ხალხში. ამის დასამტკიცებლად საკმაოა თვალი გადაავლოს კაცმა სასამართლოებში ნაწარმოებ საქმეებს მონასტრების მამულების შესახებ.

რით აიხსნება ეს სამწუხარო მოვლენა? როგორ უნდა მოიქცნენ ეხლანდელ დროში ამ მონასტრების წინამძღვარნი, რომ ძველი პატივი აღადგინონ ხალხში მონასტრების და მათში მლოცავწე პირთადმი? რა ზომა უნდა იქმნეს ხმარებული, რომ ნივთიერად გაუმჯობესდეს მონასტრების და მათში მლოცავწე პირთა მდგომარეობა?

ამ პირველი კითხვის ალსახსნელად ბევრი რამ ისეთი გადგება კაცს ენაზე, რომლის გამოთქმა, სამწუხაროდ, ვერ გაგიბედავს; მაგრამ იმის დაფარვა კი არ შეიძლება, რომ ამ სამწუხარო მიზეზთა შორის არა მცირე ადგილი უჭირავთ თვით მონასტრებში მლოცავწე ბერ-მონაზონთ და წინამძღოლელთა.

ძველ დროში მონასტრებში ჩვენ ვხედავთ მშრომელ პირთ, რომელთაგან ერთი სწერდა წიგნებს, მეორე ასწავლიდა მოსწავლეთა, მესამე მიწას მუშაკობდა, მეოთხე ხალხში მოქმედობდა და სიტყვით თუ საქმით განამტკიცებდა ხალხში კეთილზნეობას და ქრისტეს სწავლას. ერთი სიტყვით ისინი ლოცვის შესრულების შემდეგ ნიადაგ შრომობდნენ და ამ შრომით აკმაყოფილებდნენ როგორც კერძო, ისე საზოგადო მოთხოვნილებათა; თვითეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ იგი არის ყველაზე პირველი იმ ხალხის წევრი, რომელსაც ის განშორებია მხოლოდ მისთვის, რომ ლოცვაში, პატიოსან შრომაში განსპეტაკებულმა, განწმედილმა და ამაღლებულმა ქრისტეს ზნეობრივ სწავლამდის როგორც უსაიდუმლოესი განძრახულებით, პირადი ცხოვრებით და ქრისტესივე სწავლით, გონების გახსნით,—გაუწიოს იმავე ხალხს ჭეშმარიტი რელიგიური და ზნეობრივი წინამძღოლობა და მოძღვრობა. და მართლაც, მაშინდელი ბერები თავიანთ თავზე თავდადებულ მეცადინეობის გამო ზნეობრივ და გონებრივ თავის განსავითარებლად იდგნენ მაღლა და როგორც კერძო წმიდა ცხოვრებით, აგრეთვე უმანკო აზრებით ბრწყინავდნენ ხალხში, როგორც ლამპარი და მით ასრულებდნენ ქრისტეს მცნებას: „ესრეთ ბრწყინავდი ნათელი თქვენნი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა“.

რა გასაკვირველია, რომ ამ პირთა ხალხიც ღრმათ პატივს სცემდა და ასრულებდა მათ რჩევას და მამობრივ დარიგებას. ერთი სიტყვით ამ ბერებს ჩვენ თავამად შეგვიძლია უწოდოთ ხალხის აღმზრდელები, რომელთ წინაშე ზნეობრივ დამნაშავენი თრთოდნენ და ძრწოდნენ, რომ აშორებულიყვნენ მათს მკაცრს და სასტიკ განკიცხვას და შეჩვენებას; კეთილ და სათნო პირთა კი უმაღლეს ჯილდოთ მიაჩნდათ მათგან მოწონება და კარგი თვალით ყურება.

განა არ შეიძლება, რომ თუმცა ყველაფერში არა რამდენიმეში მაინც წაბაძონ ეხლანდელმა მონასტრებმა ძველ მონასტრებს? თუ როდისმე ეჭირებოდა ჩვენს ხალხს წაქეზება, ცხოველი მაგალითების ჩვენება, მამობრივი რჩევა-დარიგება კეთილ-ზნეობაზე და ქრისტეს სწავლაზე,—ყველა ესეები დღეს ერთი ორად საჭიროა მისთვის. ჭეშმარიტება მწარეა ზოგიერთათვის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას და ჩვენც დიდის გულმტკივნეულობით აღვიარებთ, რომ ჩვენს ხალხში, ჩვენდა სამწუხაროდ, შესამჩნევად თავი იჩინა სარწმუნოებრივმა გულ-გრილობამ და ამის განუყრელმა ამხანაგმა—ზნეობრივმა დაცემულობამ და სისუსტემ. სითაც უნდა გაიხედო, ცხადათ რწმუნდებით ამ სამწუხარო მოვლენაში. ხალხის კავშირი მონასტრების წინამძღოლელთ და ბერებთან დღეს კიდევ განუწყვეტელი არის: ხალხი ხშირად პატიჟებს მათ ჭირის დღეს სანუგეშებლად და თვითონ ხალხიც დაიარება მონასტრებში. ნუ თუ ამისთანა დროს არ შეუძლიათ ბერ-მონაზონთ იხმარონ ყოველივე გვარი ღონისძიება და თავის გავლენა ხალხში სარწმუნოების და ზნეობრივი სწავლის ასამაღლებლად.

შრომას და გამჭრიახობას მრავალი შეუძლია, ხოლო ზარმაცობა და დაუდევნელობა კი ყველაფერს ბოლოს უღებს. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოუთხრობთ მკითხველს ახალ ათონის მონასტერზე, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ აბხაზეთში გაიხსნა რუსის ბერებისაგან. აქ იყო ერთი ნაეკკლესიარი ადგილი გავერნებული, ამ ადგილას მოვიდნენ რუსის ბერები, ააშენეს მონასტერი და დაიწყეს ცხოვრება. ჯერეთ ეკკლესია მორთეს გასაოცრათ, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობები გამართეს; გააშენეს ბაღი, რომლიდამაც დიდი შემოსავალი აქვსთ. ეს ბერები თავის ნაშრომით აკვირვებენ ყოველ ამ მონასტერში მისულ პირთა. ეხლა, როგორც ამბობენ, რკინის გზის გაყვანას აპირებენ ზღვის პირამდის, რომ გაუადვილონ მისვლა მონასტრის მნახველ პირთა. ამ ბერებს აქვსთ შედგენილი მრავალი საღმრთო-საერო საკითხავი წიგნაკები, რომლებსაც ურიგებენ მლოცველთა და ისეც ჰგზავნიან ყოველ მხარისაკენ. **ჩვენ** დარწმუნებული ვართ, რომ ამ მონასტერს დიდი შემოსავალი ექმნება ცოტახნის შემდეგ. **რისგან?** **შრომისა** და გამჭრიახობისაგან.

აი მაგალითი, რომელსაც უნდა წაბაძონ ჩვენმა მონასტრებმა, თუ უნდათ, რომ ნივთიერად გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. მრავალი მომსწრე პირი არის დღესაც ნეტარხსენებული დავით მიტროპოლიტისა (გვარათ წერეთლისა), რომელიც თურმე მუშებს თავს ადგა და თვითონაც მუშაობდა. მაგრამ, საუბედუროდ, დღეს მუშაობა სასირცხოთ მიაჩნიათ და ყოლიფრათ ჯამაგირზე არიან დამყარებულნი.

ჩვენში არიან ერთ-ორ ალაგას მონასტრები, რომლებშიც დიდი ხალხი დაიარება სანახავად და სალოცავად. ამ მონასტრებზე საძაგელი მისასვლელი გზებია, ასე რომ მიმსვლელი ბედს იწყევლის, თუ ფაიტონით მიდის მაინც. ნუ თუ არ შეუძლია თვითონ მონასტრებს, რომ ეს მისასვლელი გზები გააკეთონ და ამასთან ღამე გასათევი ბინებიც მოაწყონ? როგორ არ შეიძლება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მოფიქრება არ არის ამაზე, გზებს გარდა სამწუხარო ის არის, რომ მლოცველები უჩივიან მონასტრების უსუფთაობას.

ეხლა ავიღოთ დედათ მონასტრები. ამ მონასტრებში სცხოვრებენ მრავალნი მონაზონნი. **წინანდელ** დროში ამ მონასტრებში იკერებოდა თითქმის სამღვდელო შესამოსლები და სხვა ეკკლესიაში საჭირო ნივთები. დღეს კი უბრალო შესამოსლის დაჭრას და შეკერვას ვერ მოახერხებენ. ვიღაცა ურიები და სხვა სჯულის კაცნი კერვენ ჩვენ საეკკლესიოსახმარ ნივთებს და ჰყიდიან ჩვენზე ერთი-ორად; ჩვენ კი ყურადღებას არ ვაქცევთ ამას. ყოველივეს შრომით და გამჭრიახობით შეიძენს კაცი და ამას უნდა მიაქციონ ეხლანდელ დროში მონასტრებმაც ყურადღება, რომ თავისი შრომით და გამჭრიახობით გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა ნივთიერად. დრო არის, დრო, რომ ამაზე მიაქციონ ყურადღება ვისიც რიგია.

---

# ახალციხიდამ.

ექვს აპრილს, დილით ადრე, ახალციხის მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში იწყეს ზარების რეკა. ამ რეკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის ყველა მცხოვრებლებზე. ყველა ფეხზედ წამოდგა და გარეთ გამოვარდა. ყველა გაშტერებით მიჩერებოდა ამ უჩვეულებრივო ზარების რეკას. ყველგან იჯგუფებოდნენ ქალი და კაცი და გაკვირვებით უცქეროდნენ ერთმანერს. ნამდვილი მიზეზი ამ ზარების რეკისა კი არავინ იცოდა გარდა ადმინისტრაციის მოხელეთა და სასულიერო პირთა. ამიტომ ერთი ამბობდა: «ჩვენი დიდებული ხელმწიფე ალექსანდრე III-მე რაღაც მტრულ განსაცდელს უნდა გადარჩენოდესო ღვთის მადლითო!» მეორე ამბობდა: «ავგანში ჩვენს მთავრობას უნდა დაემარცხებიოს ინგლისის ჯარიო!» ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ბოლოს გამოჩნდენ ისეთი პირნიც, რომელთაც ამ გაოცებულ ხალხს შეატყობინეს შემდეგი: «ბ. დ. ნ. ზედგინიძისაგან გავიგეთ, რომ დღეს სლავიანთა განმანათლებლების, კირილეს და მეთოდის დღესასწაული არისო.»

ბოლოს მეც მივხდი, რომ წმიდათა კირილეს და მეთოდის დღეობა უნდა ყოფილიყო. იმ წმიდანებისა, რომელთაც პირველად მოაქციეს ქრისტეს სარწმუნოებისადმი ბულღარები და მერე ესრეთივე სწავლა მოჰფინეს ყირიმის არე მარეში. ბოლოს ამ წმიდანებმა შეადგინეს სლავიანურ ენაზე ანბანი, გადათარგმნეს ბერძნული ენიდამ სლავიანურ ენაზე საღმრთო წიგნები. აი სწორეთ ესრეთი ღვაწლი ამ ორთა ძმათა არის მიზეზი, რომ მათ ხსენებას დღესასწაულობს მთელი რუსეთის მართლ-მადიდებელი ეკკლესია, თუმცა ამ წმიდანების გარდაცვალებიდამ განვლო ათასმა წელმა.

ამ წმიდანების დღესასწაულობამ უნდა აღძრას ჩვენს გულში ისეთივე პატივის ცემა ჩვენ განმანათლებლებთადმიც. **ჩვენ** უფრო ადრე მივიღეთ ქრისტესსარწმუნოება ანდრია მოციქულის და მერმე ჩვენი განმანათლებელის **ნინასაგან**. განა კირილეზე და მეთოდიზე ნაკლები ღვაწლი და სამსახური მიუძღვისთ ზოგიერთ ჩვენ განმანათლებლებს ჩვენ წინაპართ და მათ სამშობლოზედ? არა ბატონებო, ჩვენს განმანათლებლებს ნაკლები სამსახური არ მიუძღვისთ ხალხის წინაშე, მაგრამ ყოველივე მათი ღვაწლი ჩვენი დაუდევრობით უკუგვიგდია.

დროა გამოვიღვიძოთ და გამოვფხიზლდეთ და ჯეროვანი პატივის ცემა გამოუცხადოთ ჩვენ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანათლებელთა. ამ შემთხვევაში უპირველესი ადგილი უკავია სასულიერო წოდებას. მან უნდა შეაგონოს ხალხი, მან უნდა გააგებიოს თავიანთ სამწყსოთ რომელიმე განმანათლებელის ღვაწლი და ამით გამოიწვიოს ხალხი ჩვენი განმანათლებლების პატივსაცემად. ერთი სიტყვით სასულიერო წოდების დაუღალავ შრომაზედ არის დამოკიდებული სამწყსოთა შეგონება და წარმატება ამისთანა სასარგებლო ღვაწლზედა. სამწყსოთა კეთილ წარმატებისათვის თავ-განწირულს მწყემსს ბევრი რამ შეუძლია: ის არა თუ მარტო სულიერად გაანათლებს სამწყსოს, არამედ ხორციელადაც, რადგან სული და ხორცი დაკავშირებულნი არიან ერთად. როგორც კაცის ცხოვრების შემრგებლობა უპირველესად დამოკიდებულია მარილის სიმკვეთრეზედ, აგრეთვე სულიერი კეთილ-ცხოვრება დამოკიდებულია სამღვდელოთ კეთილ მოღვაწეობაზედ.

ჩვენი ქვეყნის წმიდათაგანი იყო წმიდა პეტრე მაიომის ეპისკოპოსი, რომელიც გარდაიცვალა 1452 წ. საქართველოს ეკკლესიამ მიიღო წმიდანების რიცხვში და ასრულებდა მის დღეობას მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდის. 1749 წლიდგან კი იგი გამოირიცხა წმიდანების რიცხვიდგან; რა მიზეზისათვის?.. ვითამ იმისთვის, რომ ევტიქიანებსაც ის მიღებული ჰყოლიათ თავიანთ წმიდანების რიცხვში!... განა ეს ჯეროვანი ფაქტია? განა ცოტა წმიდანები არიან, რომელნიც ჩვენც გვწამდეს და მწვალებელთაცა? ავიღოთ ქრისტეს მოციქულნი, მოწაფენი, მამადმთავარნი, ალმსარებელნი, მოძღვარნი, მღვდელმოწამენი, მღვდელნი, მონაზონი და წამებულნი. განა ეგრედ გაუგებელნი იყვნენ ჩვენი მთარგმნელნი წმიდა მამანი, სწავლულნი და მეცნიერნი სრულიად ეკკლესიის ცხოვრებისა, რომ გამოუკვლეველად მიეღოთ წმიდა პეტრე ეპისკოპოსი, რომ მწვალებელი ყოფილიყოს? მერე იმისთანა ფხიზელ-ფრთხილ დროს ეპოქებში, როცა ფხიზელი გამოძიებაები ხდებოდა ხოლმე საბერძნეთში გამრავლებულ მწვალებების მარად მღელვარე მოძრაობის გამო; როცა მთელი საბერძნეთი შეირყა და ჩვენი საქართველო კი მართლ-მადიდებლობაში მტკიცედ დაცული იქმნა?!.

ვგონებ ამაზედ და ამისთანა საგნებზედ გამოძიება, შრომა უბრალო დროს დაკარგვა არ უნდა იყოს, მეტადრე დიდად დაგვავალიანებს, ვინც აგვიხსნის წმიდა პეტრე მაომის ეპისკოპოსის წმიდანების მწყობრითგან გამორიცხვის ნამდვილ მიზეზთა! თუ რომ ჩვენი პოეტის შოთა რუსთაველის თხზულებათ ამაღლებასა და საქვეყნოდ განთქმასა ვცდილობთ ჩვენს სასიქადულოდ, რატომ ჩვენი საგვარსაკუთარ წმიდანების კეთილ ღვაწლთა განბრწყინებასა და გამოაშკარავებასა არ ვცდილობთ? ამის უპირატესობა თვით მაცხოვარმან წინადვე გაგვირკვია თავის წმიდა სახარებაში: «სული უფროს არს ხორცისაო!»

ვინმე მესხი.

---

## სამეგრელოდამ.

ძვირად ნახავთ რომელიმე სოფელს ანუ ისეთ სოფლის საზოგადოებას, რომელშიაც არ იყოს მკითხავი და ცრუ სოფლის ექიმი. ამ მკითხავებს და ექიმებს მიმართავს ხოლმე გაუნათლებელი ხალხი რაიმე ავად-მყოფობის დროს. ხალხი ფულებს არ იშურებს მათ მასაცემად, ოღონდ ავად-მყოფი კი მოარჩინონ. ეს მკითხავებიც იმედს ეუბნებიან და მასთან აძლევენ თავიანთგან შეზავებულ წამალს, რომელიც საზარალოა ავად-მყოფისათვის. ეს ვაჟბატონები რჩევისთვის ცალკე იღებენ ფულს და წამლისათვის ცალკე. ამისთანა მკითხავ-ექიმი გვარად ჟუჟავა 17 აპრილს მოსულა ჩემი მეზობელი მღვდლის მრევლში, სადაც დროებით კიდეც დაბინავებულა. ხალხი თურმე ბლომად დაეხვია და სამკითხაოდ თითო პირი სამ-სამ მანეთს აძლევდა. ყოველივე ავად-მყოფობის მიზეზად ბ. მკითხავს გამოჰყავდა ავ-თვალობა, რომელსაც სწამებდა ისევ ავად-მყოფის დედას, ძმას, რძალს და ანუ სხვა ვინმე მის მონათესავეს. ყველას აძლევდა პატარა გაკერულ ნაჭერს და მასთან დასალევ წამალს. როცა ვისმეს ამ გამოკრულ ნაჭერს მისცემდა ეუბნებოდა: «აწი ნუ გეშინია ნურასფრის: ნურც ყვავილისა, ნურც რამე სხვა ჭირისა და მგელიც რომ შემოგხვდეს წინ, ხმას არ გაგცემსო, შენ მხოლოდ საჭმელზედ იზრუნეო». ერთმა კაცმა მისგან მიცემული წამალი მომიტანა საჩვენებლად შუშით, რომელზედაც ეწერა: «chinin muriaticum». გავშინჯე წამალი და ვცანი, რომ ხინა იყო. მე ვკითხე ამ კაცს თუ რა დარიგებით მისცა ბ. ჟუჟავამ მას ეს წამალი. ამაზე მან მომიგო შემდეგი: «ეს წამალი არის ავ-თვალისა, ჩემ სახლში ხუთნი ვართ ავად და უნდა გავყო ხუთ ნაწილად და თითო ნაწილი უნდა მივიღოთ თითოეულმა წყლით. ფასი, დასძინა მან, მივეცი ექვსი მანეთი». ამის შემდეგ მე გავემგზავრე იმ სოფელში, სადაც იყო ბ. მკითხავი ჟუჟავა, მაგრამ ის იმ სოფლიდამ გაპარულიყო. ამ სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარწმუნეს, რომ ბ. ჰუჭავამ სამ დღეს ამ სოფელში აიღო 300 მანეთამდე. ჩემი სამრევლოდამაც ბევრი მისულიყო ამ მკითხავთან და სამ-სამი მანეთი მიეცათ მკითხავისათვის ისეთ პირებს, რომელთაც წარსულ წელში დრამის ფულების მოკრების დროს მთავრობა შეაწუხეს თავიანთი საჩივრებით ჩემ წინააღმდეგ, რომ ისინი უკიდურესი ღარიბნი არიან და დრამის ფულის გადახდა არ შეუძლიათ.

ძალიან გასაკვირველია, რომ ადგილობითი პოლიცია არ აქცევს ამისთანა ვაჟბატონებს ყურადღებას. წარმოიდგინეთ, რომ საწყალი გლეხი, რომელიც ჭლექით ანუ სხვა რაიმე ავად-მყოფობით იტანჯება, მიდის მკითხავთან და ისიც აძლევს ქინის პარაშოკს და იმასაც სამ მანეთად. მონათესავეთა შორის ჰბადავს მტრობას და სიძულილს. გარდა ამისა, ამისთანა უბრალო ხარჯით და მშვენიერი სამუშაო დღის გაცდენით საწყალი გლეხი ვარდება სიღარიბეში და ავად-მყოფსაც თავისი ემართება. ვინც ვერ ეღირსა ბ. ჰუჭავას ნახვას ადგილობით, ის გულით მოწადინებულია ეახლოს მას ბინაზე და აკითხვიოს. განსაკუთრებით ჰუჭავამ დაიმსახურა ზოგიერთი პირის ყურადღება, რადგან უშვილო კაცებს აღუთქვა შვილის ყოლა. ძალიან მოხუცებულ კაცებსაც კი მისცა იმედი, რომ ისეთ წამალს მისცემს მათ, რომ შვილი უსათუოდ ეყოლებათ, ოღონდ ასი მანეთი მისცენ მას (ჰუჭავას).

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამ გლახუა ჰუჭავას, რომელიც დ. ხონის მახლობლად სცხოვრობს, ადგილობითი მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს და სასტიკად დასჯიდეს, რომ მისი დასჯით სხვებმაც არ გაბედონ გაუნათლებელი ხალხის მოტყუება და ფულის წართმევა.

მღ. სოფრომ თოდუა.

## კანკელის კეთების საქმე ჩვენში.

როგორც ეკკლესიების შენების საქმე ისე კანკელის კეთებაც არ მიდის ისე, როგორც სასურველია. მართალია, ძველ დროში ქართველებს ჰყოლებიათ საკუთარი ხუროთ მთავრები და ხუროთ მოძღვრებიც, მაგრამ ამ ჟამად ხეირიანი ხელოსნებიც კი არ მოგვეძებნებიან. სხვა ხელოსნებს თავი დავანებოთ და მარტო კანკელის მკეთებელ ხელოსნებს მივაქციოთ ყურადღება. ამ უკანასკნელ დროს ჩვენს საქართველოში კანკელის მაკეთებელნი მეტად გამრავლდნენ. ვინც არ გინდა, კანკელის კეთებას ჩემულობს. ამათში, მართალია, ზოგი ისეთებიც არიან, რომელთაც, ცოტაც არის, გაეგებათ რამე ამ საქმისა, როგორც მაგ. უ. დავით გიგაუროვს, რომელმაც ეს ხელობა კარგად იცის, მაგრამ რიგიანად და ენერგიით არ ეკიდება საქმეს. სოფლებში არ დაიარება, რომ საქმე მისცენ, მხოლოდ გაზეთებში აცხადებს თავის ვინაობას, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ჯერ ჩვენმა ხალხმა გაზეთებით ძებნა არა ვის იცის და საქმეს აძლევს იმას, ვინც კი მათ კარზე მიადგებათ და ან რომელიმე ნაცნობი მიუთითებს ხელს ვისზედმე.

მე არ მინდა ამით ვსთქვა, რომ ჩვენ, ქართველებს, ამ ხელობის ნიჭი არა გვაქვსთქო. ნიჭი კი გვაქვს, მაგრამ ამისთანა ხელობის შესწავლა შეიძლებოდა სასწავლებლის საშუალებით, მაგრამ ამისთანა სასწავლებლები ჯერ ჩვენში არ მოიძებნებიან. ხეირიანი კანკელის კეთებისთვის საკმაო არ არის, რომ კაცმა რამდენიმე თვე ანუ ერთი წელი სტოლიართან, კალატოზთან და ან ოქროს მჭედელთან მოათიოს. სწორედ ამისთანა პირები და ასეთი მომზადებით ჰკიდებენ ხელს კანკელის კეთებას დღეს ჩვენში. ეს ვაჟბატონები მიდიან მივარდნილ სოფლებში და ჩემულობენ ოსტატობას. ჩაიგდებენ ხელში რომელიმე სოფლის მღვდელს ანუ მთელ საზოგადოებას და ურიგდებიან კანკელის გაკეთებას. ფასზე დიდს არ გამოეკიდებიან. თუ მოახერხეს როგორმე გაკეთება და ჩააბარეს, ხო კარგი, და თუ არა, იპარებიან. თუ ვინმემ მაგრათ მოჰკიდა მათ ხელი, მაშინ იძულებულნი შეიქნებიან ხოლმე თავის ხარჯით დაიქირაონ მათზე უფრო საქმის მცოდნე პირნი და თავიანთი აღებული საქმე შეასრულებიონ. ბოლოს საქმის მიმცემთაგან იღებენ მოწმობას, რომელშიდაც იწერება, რომ ამა და ამ პირმა რიგიანად შეასრულა მისდამი მიცემული საქმე. ამისთანა მოწმობაები ძალიან შველიან ესრეთ გაიძვერა პირებს და ამისთანა დოკუმენტებით სხვასაც აბრიყვებენ.

კანკელის მკეთებელმა პირმა უსათუოდ უნდა იცოდეს სტოლიარის ხელობა, კალატოზის და ოქროს ვარაყის გადაკვრა და ხატების ხატვაც. ზემოთ აღნიშნულმა პირებმა არც ეს ხელობანი იციან და მასთან არც რიგიან მასალას ხმარობენ. ურიგდებიან ოქროს ვარაყის გადაკვრას და აკრავენ თითბრისას და, თუ გაჭირდა, ვერცხლის და ოქროს ფერად ღებავენ ლაქით ჩუქურთმაზედ. ვარაყის გადასაკრავ მელის სარჩულსაც ვერ აზავებენ წებოთი ისე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც რიგია, რისგამო სარჩული სკდება და სცვივა ვარაყი. აგრეთვე ეს მოხელენი ურიგდებიან ზეთის წამლის წასმას და უსვამენ წებოსას.

ამიტომ კარგი იქნება, რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ ამ საქმეს ისინი, ვისიც რიგია. რიგია კაცმა ყურადღება მიაქციოს მატყუარა ოსტატებს. მოეთხოვოსთ მათ მოწმობა მათი სახელოსნო გამგეობისაგან, რომ მათ იციან ხსენებული ხელობა. ესრეთი განკარგულება საქმისთვისაც კარგი იქმნება და თვით ოსტატებისთვისაც.

ხელობის გაუმჯობესობის მოსურნე.

---

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

ქართული ბიბლიის ახლად გამოცემამ დაჰბადა ქართველთ გულში მადლობის გრძნობა, რადგან ეს წიგნი შეადგენს დაუფასებელ განძს ქართულ ლიტერატურაში. მისი განუსაზღვრელი მნიშვნელობა ცხადია, თუნდ სახეში ვიქონიოთ მხოლოდ ის მნიშვნელობა ამ წიგნისა, რომ იგი არის უძვირფასესი საუნჯე ქართულის ენისა. მით უმეტეს საწყენია რაიმე ნაკლი ამ წიგნში, მით უმფრო გულნაკლულ ჰყოფს კაცს რაიმე ნაკლი მასში. ამ გვარი ნაკლი კი, სამწუხაროდ, ეგონებ მოიპოვებიან ამ გამოცემაში. გადავავლოთ ამ ჟამად თვალი წინასწარმეტყველის იერემიას «გოდებას» და «ლოცვას» და შევადაროთ ზოგიერთი ადგილები სლავიანურ, რუსულ და ფრანცუზულ ტექსტთან.

გოდებანი. თავი ა.

**მუხლი გ.** «...ყოველნი მდევარნი მისნი ეწინეს მას საშუალ გაჭირვებულთასა.» ამ ადგილს სლავიანურ ბიბლიაში ვკითხულობთ ამ გვარად: «...вси гонящій его, постигнуша, и среди стужающихъ ему.» სლავიანურში ჩამატებულია კავშირი «და,» რაიც ჰცვლის ჰაზრს და გვაძლევს ნებას წავიკითხოთ ეს ადგილი ესე: ყოველნი მდევარნი მისნი ეწივნეს მას და (იგი)—საშუალ მაჭირვებელთასა. უკანასკნელ სიტყვებს ამ მუხლისას—«საშუალ მაჭირვებელთასა» —ვკითხულობთ რუსულში: «...въ тѣсныхъ мѣстахъ.» და ფრანცუზულში: entre ses détroits,» ესე იგი: «საშუალ ვიწროთა ადგილთა.» ამ გვარად ქართულში შედარებით რუსულთან და ფრანცუზულთან აქ სხვა ჰაზრია.

**მუხლი დ.** «...ქალწულნი მისნი წარყვანებულან, და თვით განმწარებულმან მის შორის.» თუმცა სიტყვა «წარყვანებულან» სლავიანურშიც ესევე («вѣдомы»), გარნა რუსულში («печальны») და და ფრანცუზულში («sont affliqèes») შეცვლილია ამ გვარად: «მწუხარე არიან.» მეორე ნახევარში ამ მუხლისა—«და თვით განმწარებულმან მის შორის»— ჰაზრი არა ჩანს. სლავიანურში კი («и самъ огорчеваемъ въ себѣ»), აგრეთვე რუსულში («горько и ему самому») და ფრანცუზულში («et elle est dans l'amertume») ცხადად გამოხატულია ჰაზრი: და თვით განმწარებულ არს თვის შორის.

**მუხლი კ.** «რამეთუ განმამწარებელმან განვამწარე: გარეშე, უშვილოა მახვილმან ვითარცა სიკვდილმან შორის სახლისა.» ფრაზა: განმამწარებელმან განვამწარე« სლავიანურში იკითხვის: «აღვივსე სიმწარითა» («горести исполнихся») რუსულის («я упорно противился») და ფრანცუზულის («J'ai ajouté rébellion à rebellion») ჰაზრი კი, თუმცა იგინი ცოტა განსხვავდებიან ერთმანეთიდამ, ქართულთან ახლოა. გარნა მეორე ნახევარი ამ მუხლისა:—«გარეშე, უშვილოა მახვილმან ვითარცა სიკვდილმან შორის სახლისა»—მოკლებულია ჰაზრს; როდესაც სლავიანურში («отвнѣ обезчади мене мечъ, ики смерть въ дому»), რუსულში («отвнѣ обезчадилъ меня мечъ, а дома какъ смерть») და ფრანცუზულში («au dehors l'épée m'a privée d'enfants; au dedans c'est comme la mort») ცხადია ჰაზრი: გარეშე უშვილო მყო მე მახვილმან, ვითარცა სიკვდილმან შორის სახლისა.

თავი ბ.

**მუხლი იე.** «...შეხარეს თავი მათი ასულსა ზედა იერუსალიმისასა, უკეთუ ესე არს ქალაქ თქვენ...» არ არის აქ ჩამატებული სიტყვა «მეტყველთა,» როგორც ეს ჩამატებულია სლავიანურში («...покиваша главою своею о дщери Іерусалимли, рекуще: сей ли градъ...») რუსულში «...говоря: это ли городъ...»). ფრანცუზულში: («...disant: est ce ici ville...»—და ჰაზრი ბნელდება. ამ სიტყვის ჩამატება კი ანათებს ჰაზრს: შეხერას თავი მათი ასულსა ზედა იერუსალიმისასა, მეტყველთა: უკეთუ ესე არს ქალაქ თქვენ...»

**მუხლი კა.** «...ქალწულნი ჩემნი და ჭაბუკნი ჩემნი წარვიდეს ტყვეობამდი, მოასრულენ დღესა შინა რისხვისა შენისასა, ამზარეულენ არა ჰრიდენ.» წინადადება «ქალწულნი ჩემნი და ჭაბუკნი ჩემნი წარვიდეს ტყვეობამდი» თუმცა ესევეა სლავიანურ-

ში («дѣвицы мои и юноты мои отидоша въ плѣнъ»), გარნა რუსულში («...пали отъ меча») ფრანცუზულში («Jont tombés par é'epée») წარიკითხება: «მოიხსენ მახვილითა» მეორე ფრაზა: «მოასრულენ დღესა შინა რისხვისა შენისასა» სლავიანურში ზის ესე: «მახვილითა და სიყმილითა მოასრულენ» («мечемъ и гладомъ избилъ еси»), თუმცა რუსულში («ты убивалъ ихъ въ день гнѣва твоего») და ფრანციზულში («tu as tué au jour de colère») ქართულის გვარად წაიკითხვის. აქედამ: სიტყვები «დღესა შინა რისხვისა შენისასა, რომელნიც ქართულში ხსნიან სიტყვას «მოასრულენ,» სლავიანურში განმარტამენ სიტყვას «ამბარეულენ.»

თავი გ.

მუხლი თ. «...უენა გზანი ჩემნი მარმაროთა «...თითქო მარმარილოთი მოეკირწყლოთ მისნი გზანი! სლავიანურში («возгради пути моя...), როგორც რუსულში («каменьями преградилъ дороги мои...») და ფრანციზულში (îl a fait une cloison de pierres de taills à mes chemins...) აზრი სხვაა: ყვნა აქოლილ (კადალობილ) მარმაროითა გზანი ჩემნი.

მუხლი ჲბ. «ბაგენი ზედ აღდგომილნი ჩემნი და წვრთანი მათნი (ბაგეთა ჩემთანი?) ძვინად ჩემდა დღე ყოველ» აზრი შეცვლილია. სლავიანურის («устнѣ востающихъ на мя, и поученіе ихъ на мя весь день»), რუსულის («рѣчи возстающихъ на меня и ихъ ухищренія противъ меня всякій день»), ფრანცუზულის («les discours de ceux qui s'élévent contre moi, et les desseins qu,ils forment contre moi tout le jour») მიხედვით უნდა იყოს: ბაგენი აღდგომილთა ჩემზედა და წვრთანი მათნი ძვინად ჩემდა დღე ყოველ.

მუხლი ჲგ. «დაჯდომასა მათსა ზედა მოიხილე მე ვიქმენ საქრტინავ მათდამ». აზრი შეცვლილია. რუსულში («boispu; сидятъ ли ани, встаютъ ли, я для нихъ пѣснь») და ფრანციზულში («consiclère que je suis le sujet de leurs chansons, quand ils s'asseqent, et quand ils se lèvent») ნათლად ზის აზრი: მოიხილე: დაჯდომასა მათსა ზედა და აღდგომასა მე ვიქმენ საქრტინავ მათდა.

მუხლი ჲდ. «იხილე ამპარტავნება სულთა მათთა და მიაგე მათ უფალო მისაგებელი, უფალო მაზე გულისა მათისა.» ფრაზა «იხილე ამპარტავნება სულთა მათთა» არ არის ამ მუხლში არც სლავიანურში, არც რუსულში და არც ფრანციზულში.

მუხლი ჲვ. «ქვეშე კერძო ცისა უფლისა.» აზრი ჩაბნელებულია აქ. სლავიანურში («подъ небесемъ, господи»), რუსულში («...господи, изъ поднебесной») და ფრანციზულში («...o Eternel! de dessous les cieux.») სიტყვა «უფლისა» ნახმარია წოდებითი ბრუნვაში და ნათლად იხატება აზრი: ქვეშე კერძო ცისა, უფალო.

თავი დ.

მუხლი ივ. «მერმე ყოფასა ჩვენსა მოაკლდა თვალთა ჩვენთა შეწევნად, ცუდად, სტვანვითა ჩვენითა.

მუხლი იზ. «პირი უფლისა ნაწილი მათდა, არა შესძინოს ზედ მოხილვად მათდა. პირსა მღვდელისასა, არა თვალ ახვნეს, მოხუცებულნი არ შეიწყნარეს ყმათა მათ იმსტრობ ნათესავსა ვერ განმარინებელსა.»

მე 16-ტე მუხლი წარიკითხების სლავიანურად: «лице господне часть ихъ, не приложитъ призрѣти на нихъ: лица жреческа не устыдѣшася, старыхъ не помиловаща.» და მუხლი 17-ტე: «еще сущымъ намъ оскудѣша очи наши, на помощь нашу всуе смотрящымъ намъ, внегда надѣяхомся на языкъ не спасающій.» რუსულად 16-ტე მუხლი: «лице господне разсѣетъ ихъ; онъ уже не призритъ на нихъ; потому что они лица священниковъ не уважаютъ, старцевъ не милуютъ» და 17-ტე მუხლი: «наши глаза истомлены въ напрасномъ ожиданіи помощи, со сторожевой башни нашей мы ожидали народъ, который не могъ спасти насъ.» ფრანცუზულად 17-ტე მუხლი: «la force de l'fternel lesa écartés, il ne les reqardera plus ils n'ont point eu de respect pour la face de sacrifieateurs, ni de pitié des viei llards.» და 17-ტე მუხლი: «Et pour nous, nos yeux se sont consumés jusqu' ici apres un vain secours; nous avons regardé attantivement vers une nation, qui ne pouvait pas nous délivrez.» როგორც სჩანს სლავიანურთან, და ფრანცუზულთან შედარებით, ქართულში ა) ႨႥ და ႨႦ მუხლნი შეცვლილით არიან დაბეჭდილნი: მუხლი, რომელიც იწყება: «პირი უფლისა...» უნდა ეწეროს წინ და ეჯდეს რიცხვი ႨႥ, ხოლო მუხლი, რომელიც იწყება: «მერმე ყოფასა...» უნდა ეწეროს შემდეგ და ეჯდეს რიცხვი ႨႦ; ბ) ფრაზა: «იმსტრობ ნათესავსა ვერ განმარინებელსა» ეკუთვნის მუხლს, რომელიც იწყობა ესე: «მერმე ყოფასა...» და არა მუხლს, რომელიც იწყობა ესე: «პირი უფლისა...;» გ) სიტყვები: «ყრმათა მათ» ქართულში მეტია. ამ

მიზეზების გამო ქართულში ამ ორი მუხლის ჰაზრი ჩაბნელებულია.

**მუხლი** კ. «...ქრისტე უფალი შეპყრობილ იქმნა...» უმჯობესია აქ სიტყვა «ქრისტე» შეცვლილ იქმნეს იმავე მნიშვნელობის სიტყვით: «ცხებული,» როგორც არის ეს სლავიანურში («**помазанный**»), რუსულში («**помазанникъ**»), ფრანცუზულში («l'oint»),—რადგან სიტყვას «ქრისტე» უნებლიად გადააქვს ჰაზრი პირდაპირ იესო ქრისტეზე, იერემია კი პირდაპირი თქმით აქ «ცხებულზე,» მეფეზე უბნობს.

თ ა ვ ი ე.

ლოცვა წ. იერემიასი.

**მუხლი** ვ. «ეგვიპტემან მისცა ხელი ასურს განსაძღებელად პურითა.» ასე ჰგონია, ეგვიპტემ მისცა ხელი, ხელი გაუმართაო. ასურს განსაძღებლად პურითა! რუსულში («**протягиваемъ руку египтянамъ, къ Ассирянамъ, чтобы насытиться хлѣбомъ.**») და ფრანციზულში («Nous auons tandu la main aux Eqyptiens et aux Assyriens, pour nous rassasieu de pain») აქ ცხადი და შესაბამი ჰაზრია: უწვდით (ჩვენ იუდიანი) ხელს ეგვიპტელთ და ასურთ განსაძღებელად პურითა.

**მუხლი** იგ. «...ჭაბუკნი ძელთა ზედა ჯვარს ეცვნეს...» ვერ არის ნამდვილად ნათქვამი; იერემია ამას არ იტყოდა: ჯვარცმა არ არის ასურული სასჯელი. სლავიანურში («**...въ кладѣ изнемогоша**»), რუსულში («**подаютъ подъ ношами дровъ**»), ფრანციზულში («sont tombés sous le bois») სხვა ჰაზრია: ჭაბუკნი ტვირთ ქვეშ (შეშისა—რუსულიდგან და ფრანციზულიდგან) მოუძლურდებოდეს.

ერთი შენიშვნაც. სვენებითი ნიშანთ დაუსმელობა და მათი უადგილო ადგილს დასხმა ხშირია, ერთობ ხშირია მთელ დაბადებაში: წიგნის რომელ გვერდზედაც გნებავსთ, იპოვით ამის მაგალითებს. ამისთვის ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ორიოდე ამის ნიმუშებს ისევ ჩვენგანვე მოყვანილ ადგილებიდამ. **თავი ა, მუხლი** კ. «...მახვილმან ვითარცა...» ამ ორ სიტყვის შუა მძიმე აკლია. **თავი ბ, მუხლი** კა. «...ამზარეულენ არა ჰრიდენ.» ტყუილად მოჰრიდებიან ამ ორ წინადადების შუა მძიმის დასმას. **თავი გ, მუხლი** ქდ «...მათ უფალო მისაგებელი...» ამბობენ წინადადების შუა მომწყვდეული წოდებითი ბრუნვა მძიმეებში ჯდებაო. ერთი ახალი მაგალითიც: **თავი ბ, მუხლი იბ.** «დედათა მათთა ეტყოდეს სადა იფქლი და ღვინო.» სადაა ორი წერტილი შემდეგ სიტყვისა «ეტყოდეს?» სადაა კითხვითი ნიშანი წინადადების ბოლოს?

ვ. ბარნოვი.

---

# მ ა ტ ი ა ნ ე

## საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ჩვენ გვატყობინებენ დიმის საზოგადოებიდგან (ქუთ. მაზრაშია), რომ იქ აპრილის თვეში დიდის დავიდარაბით და ხარჯით აშენებული სახალხო სკოლა დაუწვიათ ღამით. **ხალხს** შეუტყვია ეს ამბავი მაშინ, როდესაც შენობას ცეცხლი მთლად მოდებული ჰქონებია. **როგორც** ამბობენ სკოლის შენობა დაჯდომია საზოგადოებას **3000** მანეთი გარდა სხვა თავის მუშაობისა.

ჩვენს ხალხში რომ სწავლის სურვილი მეტის მეტად გავრცელებულია, ეს ეხლა ცხადია ყველასთვის და რით უნდა აიხსნას ამისთანა სამწუხარო მოვლენა, რომ საზოგადოებას არ ენაღვლება არც დახარჯული ფული და არც ის, რომ მისი შვილები სკოლაში ველარ ივლიან?

ეს ხომ პირველი მაგალითი არ არის. **საჭიროა**, რომ ამ სამწუხარო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არის და შეიტყონ ნამდვილი მიზეზი, თუ რა აიძულებს საზოგადოებას ამისთანა ულვთო საქციელის ჩადენას.

---

## გასაოცარი და საზარელი მკვლელობა.

მაისის რვას, დილით, ცხრა საათის ნახევარზე მოჰკლეს ესტატე **სიმონის** ძე მჭედლიძე, იმერეთის ეპარქიის კანცელარიის სეკრეტარის თანამდებობის ალმასრულებელი. მჭედლიძეს ბინა ჰქონდა ფრანგების ეკკლესიის სიახლოვეს, ქალაქს ქუთაისში. **რვა** მაის, საათის რვაზე გამგზავრებულა მჭედლიძე კანცელარიისკენ; **როდესაც** ახალ გაკეთებულ ხიდზე მისულა, იქ დაწევია პაცხის მონასტრის წინამძღვარს იღუმენს **ნიკიფორეს**; ამ იღუმენს თან ხლებია ერთი ბერი და ერთი დიაჩოკი და ყველა ერთად წასულან კანცელარიისკენ. **როდესაც** მიახლოვებიან ეპარქიის კანცელარიას სამოც საჟენზე, უკანიდამ მიმავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსანი მიახლოვებია მჭედლიძეს და რევოლვერი დაუმიზნნია პირ-და პირ ბეჭებში და კიდეც დაუცია. რევოლვერის გავარდნა და ამ ცხენოსნისაგან ცხენის გაქენება წინ—ერთი ყოფილა. ცხენოსანი გაქცეულა აგურის ქარხნებისკენ და მისი ასავალ-დასავალი დღესეც დაკარგულია. საწყალი ესტატე მჭედლიძე კანცელარიის სიახლოვეს დეკანოზის ზიგაუროვის სახლში შეიყვანეს სისხლში გასვრილი; მაშინვე მოიყვანეს ექიმები, მაგრამ ვერაფერი საშუალება ვერ აღმოუჩინეს. ტყვია ბეჭებში მოხვედრილი მკერდში გამოვარდა და, როგორც ეტყობოდა, ფილტვები იყო გახვრეტილი. პირველად მჭედლიძეს თითქმის გრძნობა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ ბოლოს ცოტა აზრში მოვიდა. იცოცხლა სულ რამდენიმე საათი.

ე. მჭედლიძე იყო ერთი ღარიბი მღვდლის შვილი სვირის სოფლიდამ (ქუთაისის მაზრაშია). შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გათავებისა, ის შევიდა თფილისის სემინარიაში, მაგრამ სემინარიის მეოთხე კლასიდამ გამოვიდა; იმას სურდა სამთო ინსტიტუტში შესვლა, მაგრამ საჭირო იყო ატესტატი აელო გიმნაზიის კურსის ცოდნისა და მოწიფულობისა (ЗРѢЛОСТИ). თუმცა ბევრი ეცადა საწყალი, მაგრამ ვერ დაიჭირა ეკზამენი და ვერ მიიღო ეს ატესტატი. ბოლოს დაანება თავი სამთო ინსტიტუტში შესვლას და განიზრახა შესვლა ტეხნიურ სასწავლებელში. წავიდა კიდეც მოსკოვში და თითქმის ორი წელიწადი ემზადებოდა ეკზემენის დასაჭერათ, მაგრამ საცოდავი ვერც ამ სასწავლებელში შევიდა. დაბრუნდა მოსკოვიდამ და კარგა ხანი უსაქმოთ იყო. ბოლოს საიზნაურო სკოლაში მიიღეს და თითქმის საქმე ისე მოირთო, რომ უნდა დამტკიცებულიყო მასწავლებლად, მაგრამ, რადგან საჭირო სწავლის ცენზი არა ჰქონდა, არ იქმნა დამტკიცებული, და ამიტომ უადგილოთ დარჩა.

ამ დროებაში ესტატე მჭედლიძე მიიქცა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის სეკრეტარ განსვენებულ თეიმურაზ ლექავასთან. ამას ძლიერ შეებრალა მჭედლიძე და ურჩია თხოვნა შეეტანა მის თანაშემწეობაზე ეპისკოპოსთან და ასეც მოხდა. ის დაინიშნა საეპარქიო კანცელარიის სეკრეტრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. შემდეგ ლექავის გარდაცვალებისა ის დაინიშნა ამ ხსენებული კანცელარიის სეკრეტარის თანამდებობის აღმასრულებლად.

განსვენებულს არ აკლდა ნიჭი და ენერგია სამსახურისა, მაგრამ ასე უდროვოდ მოუსპო საწყალს სიცოცხლე ბოროტმა სულმა რვა მაისს.

განსვენებულს ცოლ-შვილი არ ჰყავდა. დაბადებიდამ იყო 32 წლისა.

ე. მჭედლიძე იღებდა მონაწილეობას მწერლობით „შრომის“ და „დროების“ რედაქციებში. „დროებამ“ ამ წლის 98 №-ში გამოაცხადა, რომ „ბოსლეველის“ და „გარეშე მაყურებელის“ პსევდონიმები ეკუთვნოდა ე. მჭედლიძესო.

ჭირისუფლებმა განსვენებული თავის სოფელში წაასვენეს, სადაც ექმნებოდათ, ადგილობრივ ჩვეულებისამებრ, ტირილი და დაასაფლავებდენ სვირის ეკკლესიაზე.

ამისთანა ურცხვი, შეუპოვარი და საზიზღარი მკვლელობა, ვგონებ, არ მომხდარა ჯერეთ მთელს საქართველოში და ყველანი დაიმედებულნი არიან, რომ მართლ-მსაჯულებას არ გაუსხლტება ხელიდამ ეს მკვლელი.

## ჟურნალ-გაზეთთაგან.

ამ წლის „დროების“ მე № 85-ში ვკითხულობთ შემდეგ ძრიად საყურადღებო სტატიას ჩვენი პატივცემული გ. დ. ბაქრაძისას.

„დროების“ მკითხველებმა იციან, რომ თავადმა ნიკოლოზ სამეგრელოისამ შემოსწირა ქართული ბიბლიოთეკა ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. ამ ბიბლიოთეკაზე ჩვენ ბევრი რამ გვქონდა გაგონილი. თვითონ განსვენებულს ბროსეს თავის აქ ყოფნაში 1848 წ. გაესინჯა იგი და ზოგიერთი ღირს-შესანიშნავი იმისი მანუსკრიპტები კიდეც გაერკვია. ამისთვის მოუთმენლად მოველოდით ამ განძის ჩამოტანას თბილისში. ეს ბიბლიოთეკა ახლა „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელშია და ამ დღეებში კიდეც გაისინჯა. რასაკვირველია, იმისი სრული დაფასება მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა მანუსკრიპტი საფუძვლიანად გაირკვევა.

აქ ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თ. სამეგრელოის წიგნთა საცავს შეადგენს ორასზე ნაკლები ნომერი, თუმცა უწინდელი იმისი კატალოგი მომეტებულ ნომრებს უჩვენებს. თუმცა, როგორც ვიცით, ეს ბიბლიოთეკა კარგად იყო დაცული, მაგრამ საზოგადოსენი, რომელიც ჩვენში ამ გვარ განძსა სდევნის, იმასაც კი შეეხებია. სჩანს, რომ ზოგიერთი მანუსკრიპტი გაუტანიათ და აღარ დაუბრუნებიათ. გარდა ამისა, ერთი არქეოლოგიურის მხრივ დიდად შესამჩნევი ოთხ-თავი ანუ სახარება დაგლეჯილია და დაფანტული, უქმელად ზედამხედველის დაუდევნელობის გამო, რომელსაც იმისი ფასი არა სცოდნია. რომ თვით პატრონს დიდი

ყურადღება ჰქონია მიქცეული საზოგადოდ თავის წიგნთა საცავზე, ეს ცხადია: ყველა ნომრები ყდებით არის შეკაზმული.

გარდა ხსენებულის ოთხ-თავისა, რომელიც მთლად არის ნაწერი უძველესის ხასიათის ხუცურის ასო-მთავრულით, ამ წიგნთ-საცავშია მეათისა და მეთერთმეტის საუკ. ტყავზე ნაწერი მანუსკრიპტები, იმათ შორის ერთი დიდი ფოლიანტი, ათონის მონასტრის ხელით, ამ მონასტერშივე ნაშრომი, რომელიც შეიცავს, სხვათა შორის, „საგალობლებს“ მაშინდელის სანოტო ნიშნებით. თუ იმათ მნიშვნელობას ახლა ვინმე შეიგნებს, შეიძლება ძველი გალობის კილოც აღვადგინოთ. მანუსკრიპტების რიცხვში აღმოჩნდა აგრეთვე: ა) ერთი პირი ქართულის ბიბლიისა, რომელიც თ. ვარანცოვის დროს განსვენებულს იოსელიანს მოუტანა ათონის მთიდამ და მეორე ამ ბიბლიის პირი საქართველო-იმერეთის კანტორაში ინახება; ბ) ქართლის ცხოვრება ზოგიერთის დამატებებით, რომელნიც სხვა ქართლის ცხოვრების ვარიანტებში არ იპოვებიან; გ) „ვისრამიანი“ არჩილ მეფისაგან გალექსილი; დ) „ამირან დარეჯანიანი“ მე XVII საუკ. ხელით ნაწერი და სხვ.

სრული ანგარიში ამ ბიბლიოთეკისა შემდეგის დროისათვის გადაგვიდვია. აქ ვსარგებლობთ მხოლოდ შემთხვევით, რომ მთელის ქართველობისა და ქართულის არქეოლოგიის მხრივ გულითადი მადლობა ვუძღვნათ უგანათლებულესს თავად ნიკოლოოზს თავის განძის გადმოცემისათვის ჩვენის მეცნიერების დედა-ქალაქს თბილისში, სადაც მხოლოდ ქართულ ისტორიას შეუძლიან იმითი სრულად ისარგებლოს. ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სამაგალითო საქმე თავადის ნიკოლოოზის მხრივ თავის გავლენას აღმოაჩენს სხვებზედაც. აქ უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ საქართველოა ერთი იშვიათთა ქვეყანათაგანი, სადაც მრავალი ძველი და უძველესი მწერლობის ნაშთი ყოფილა და არის კიდეც, მაგრამ გაფანტული აქა-იქ კერძო სახლებში და ეკლესია-მონასტრებში, ანუ გატანილი საქართველოს გარეთ. გააქვთ იგინი აქამომდე ქურდულად მაშინ, როდესაც ყოველივე ამ გვარი განძი შეადგენს კუთვნილებას მთელის საქართველოისას, იმის სწავლა მეცნიერებისას და უნდა რჩებოდეს იმის ხელში. ეს სამწუხარო მოვლენაა უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენ არა გვაქვს აქამომდე შემუშავებული ჩვენის წარსულის დროის ისტორია და არც შემუშავდება, სანამ არ შემოიკრიბება თბილისში ძველი მანუსკრიპტები, გუჯრები ანუ სიგელები.

ამ აზრით, როგორც ამ დღეებში გაზეთმა „კავკაზმა“ გვაცნობა თვით ყოვლად უსამღვდელო ექსარხოსი პავლე შესდგომია სიონის სობოროს გალავანში დაარსებას ქართულის საეკლესიო მუზეუმისას, სადაც უნდა შემოიკრიბოს საქართველოს მონასტრებიდამ ყოველივე ისტორიული განძი. ამ გვარი აზრი დიდი-ხანია აღსრულებაშია მოყვანილი ევროპიის სახელმწიფოებში და თვით რუსეთშიაც დიდი ყურადღებაა ახლა იმაზე მიქცეული.

ამ აზრითვე მივმართავთ ყველა საქართველოს შვილს, ვინც თანაუგრძნობს ჩვენს ისტორიის შემუშავებას და ვისაც რაიმე ძველი ისტორიული ნაშთი მოეპოვება, არ დაიშუროს და თავადის ნიკოლოოზის მაგალითით, უძღვნას ანუ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, ანუ, თუ საეკლესიო საგანს შეადგენს, „საეკლესიო მუზეუმს“, სადაც, იქაც და აქაც, ყველა შემოწირულობა დაცული იქნება ფაქიზად და თვით შემომწირავის სახელი ჩაირთვის კატალოგში. თუ არა, თვითოეული ჩვენგანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, როგორც ვხედავთ, რაცა გვაქვს დარჩენილი, დროს განმავლობაში ისიც სრულებით დაგვეკარგება და დაგვეღუპება და ყველანი მაშინ ვგრძნობთ სინანულს, როდესაც საქმის შველა შეუძლებელი და იქნება.

აქ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ გულითადი მადლობა განვუცხადოთ თვით თავადს გრიგოლ დავითის ძეს გურიელს, რომლისაგანაც ამ დღეებში მივიღეთ სადღაც ოზურგეთში მისგან ნაპოვნი პატარა მე-X საუკ. მშვენიერი ასო-მთავრულიანი და ოქრო ვარაყიანის გასაოცარის ხელოვნების სათაურის ასოებით ეტრატზე ნაწერი სახარება. ეს შრომა უჩვენებს, რა მაღალ ხარისხზედ მდგარა ჩვენში თვით მე-X საუკუნეში კალიგრაფია და მხატვრობა. ამისთვის იგი დიდს განძს შეადგენს ჩვენის არქეოლოგიისას, თუმცა საუბედუროდ სახარება ძალიან დაშლილია და ნათრევი.

დიმიტრი ბაქრაძე.

---

ამავე გაზეთშივე ვკითხულობთ საექსარხოსოში ახალი ეპარქიების დაარსების შესახებ შემდეგს:

გაზეთი „СВѢТЪ“-ის № 91 მოწინავე წერილში ვკითხულობთ შემდეგს: „ამ მოკლე ხანში კავკასიის ეკლესიების არსებობაში მოხდება დიდი ცვლილება. ჩვენ გვაცნობებენ, რომ საქართველოს ეგზარხოსს უშუამდგომლია უწმიდესის სინოდის წინაშე უფრო თანასწორედ განაწილება საეგზარხოსოს ეპარქიებისა. დღემდის საეგზარხოსოს შეადგენდა ოთხი ეპარქია: ქართლ-კახეთისა (грузинская), იმერეთისა, გურიისა და აფხაზეთისა. უწმიდესმა სინოდმა ღირს-საყურადღებოდ იცნო ეს შუამდგომლობა და ამის მინდობილობით სი-

ნოდის ობერ-პროკურორმა წარადგინა კიდევაც სახელმწიფო რჩევაში წინადადება, რომ საქართველოს საექზარხოსოში ხუთი ეპარქია იქმნეს დაწესებული; ქართლ-კახეთისა (грузинская), კავკავისა, იმერეთისა, ახალ-სენაკისა და სოხუმისა. ამ გვარად გურიისა და აფხაზეთის ეპარქიების მაგივრად ორი ახალი ეპარქია არსდება—ახალ-სენაკისა და სოხუმისა; და ამათ გარდა კიდევ ერთი ახალიც მეხუთე ეპარქია—კავკავისა".

## ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება.

(რუსულიდგან ნათარგმნი.)

**ს**აფრანგეთის ერთ მთიან ადგილში, კლდოვან მოგეზების შუა, მდიდარ ქალაქების და დიდი გზების მოშორებით, მდებარეობენ რამდენიმე სოფლები, რომელნიც შეადგენენ ერთ მაზრას, სახელდობ «კლდოვანს.» ამ მაზრის მცხოვრებნი ამ სამოცდაათი წლის წინად მეტად ღარიბნი, გაუნათლებელნი და ცრუ მორწმუნენი იყვნენ. მათ არ იცოდნენ მიწის მუშაობა, თუმც სახნავ-სათესი მინდვრები ბევრი ჰქონდათ. ეს სახნავ-სათესი მინდვრები დაფარულნი იყვნენ ქვითა. აგრეთვე ამ მაზრის მცხოვრებლებმა არ იცოდნენ არავითარი ხელობა, ძვირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ თავიანთ მეზობლებთან ცუდი და კლდოვანი გზებისა გამო, არა ჰქონდათ არც ბაღები, არც ხეირიანი ბოსტნები, არც საავადმყოფოები, არც სკოლები და მათხოვართა გროვა ხვდებოდა ყველგან იშვიათ მოგზაურს ამ ნახევრობით ველურ მხარეში.

**ა**მ მივარდნილ მაზრაში, 1867 წელს, დაინიშნა მღვდლად ჟან ფრიდრიხ ობერლეინი, კაცი ჯერ კიდევ ძალიან ახალ-გაზდა. ის იყო სტრასბურგის გემნაზიის ღარიბი მასწავლებლის შვილი, რომელმაც თავის შეძლებისა და გვარად მშვენიერი აღზრდა მიიღო. ობერლეინი, მივიდა თუ არა დანიშნულს ადგილს, ვალდბახის დაბაში, სადაც მღვდლისთვის იდგა სახლი, დარწმუნდა ვალდბახის და მისი არე-მარის მცხოვრებთ უკიდურეს მდგომარეობაში. მის ადგილზე სხვა, შეიძლება, კიდეც გაქცეულიყო იმ მიყრუებულ არე-მარედამ, მაგრამ ახალ-გაზდა მღვდელი ფიქრობდა, რომ ამისთანა მხარეში უფრო საჭიროა მისი ძალა და მოღვაწეობა და ამისათვის მან თავის ცხოვრების მიზნად დასდვა საწყალი მთიულების უკიდურეს მდგომარეობიდამ გამოყვანა.

«**პ**ირველად საჭიროა მათი განათლება» ამბობდა თავის გულში ორბელეინი: «გაუნათლებელ ხალხს არ შეუძლია შეიგნოს თავის-თავის სარგებლობა და ამიტომ სკოლის დაარსებით უნდა დავიწყო ჩემი მრევლის განათლება.»

**მ**აგრამ მთიულები ისე გაუნათლებელნი იყვნენ, რომ, როცა ორბელეინმა სკოლის ასაშენებლად ერთი ნაჭერი ადგილი იყიდა ვალდბახში, მოქალაქეებმა მას ნება არ მისცეს სკოლის აშენებისა მანამომდე, სანამ ობერლეინს ფორმალური ხელ-წერილი არ ჩამოართვეს, რომ ის მათ სკოლის შესანახავად ფულებს არ მოსთხოვს. ობერლეინმა მისცა მათ ამ ნაირი ხელ-წერილი და ოცდა ათი წელიწადი თავისი მცირე საშუალებით ინახავდა სკოლას. ამ ხნის შანმავლობაში ობერლეინისაგან დაარსებულმა სკოლამ თავის ძალა გამოიჩინა: მრევლმა შეიგნო სწავლის სარგებლობა და თვითონ დააარსა თავის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებში ხუთიოდე სკოლა.

**ყ**ავშების სწავლების გარდა სხვა საქმეებიც ჰქონდა ობერლეინს: ის მალე შეიქმნა მფარველ ანგელოზად თავის მრევლის ყველა გაჭირებულთათვის. ის ხან რომელიმე გაჭირებულ სახლობათ ანუგეშებდა, ხან თავის რჩევით ასწორებდა იმათ, ვინც გატაცებულ იყო ცუდი მიმართულებით; ხან ღარიბებს ეწეოდა; ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს. როდესაც ობერლეინი რაიმე კეთილსაქმის გასაკეთებლად მიდიოდა, მას ვერ აკავებდა ვერც ცუდი ტაროსი და ვერც ცუდი გზა, სამწყსო თავის მოძღვარს ხშირად ხედავდა საღამოთი ცხენით მიმავალს სტრასბურგში, რომლამდის ათი მილი იქნებოდა გასავლელი და მასთან გზაც ძალიან ცუდი და საშიშო იყო. სტრასბურგში ობერლეინი რჩებოდა მთელი დღე და დაუღალავად ზრუნავდა თავის მრევლის საქმეებზე და, რომ დრო არ დაეკარგა უბრალოდ, საღამოთი ბრუნდებოდა სახლში. მეორე დღეს, დილით ადრე მას მიჰქონდა წამლები ავად მყოფებთან. ამ წამალს ის ქალაქში ყიდულობდა და ხალხს უფასოდ ურიგებდა.

**ო**ბერლეინი ამ შემწეობითაც არ კმაყოფილდებოდა. მას სურდა, შეძლებისა და გვარად, მოესპო სიღარიბის მიზეზები და ამიტომ მეცადინეობდა, რომ თავის მრევლში დაეარსებია სავა-და-სხვა სასარგებლო დაწესებულებანი.

**ძ**ნელი წარმოსადგენია, თუ იმ ახალ დაწესებულებათა, რომელთა დაარსებას მოინდომებდა ხოლმე ობერლეინი, რა დაბრკოლებანი ხვდებოდნენ გაუნათლებელი ხალხის მხრით, რომელიც დასცინოდა ობერლეინს ხშირად და ხან კიდეც ემუქრებოდა

მას, მაგრამ მოძღვარმა ყველა ეს დაბრკოლებანი დასძლია თავისი მტკიცე ხასიათით, აუჩქარებლობით და კეთილ გონიერებით, ასე რომ ბოლოს თვით მისნი მოსისხარნი მოწინააღმდეგენი შეელოდნენ და ეწეოდნენ მას ხალხის განათლების საქმეში.

ამ მაზრის მცხოვრებთ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ძალიან უჭირდათ ცუდი გზებისა გამო. ამიტომ ობერლეინი ურჩევდა მრევლს გზების გაკეთებას. გარდა ამისა, მოძღვარი ფიქრობდა გზის გაყვანას იმ დიდ გზამდე, რომელიც სტრასბურგში მიდიოდა. ამ ფიქრის შესრულება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ დაუღალავი მოძღვარი არ შეუშინდა ამ დაბრკოლებათა. თვითონ აიღო ლომი და დაიწყო მუშაობა; მისმა მაგალითმა იმოქმედა მრევლზე და სამი თვის განმავლობაში მშვენიერი გზა, სიგრძით სამი ვერსტი, შეიქნა მთელი მრევლისათვის საუკეთესო შემაერთებელ საშუალებად დანარჩენ მხარეებთან. მდინარე ლა-ბრეშს, რომელიც მომდინარეობდა მთებიდგან, არა ჰქონდა განსაზღვრული კალაპოტი და წყალ-დიდობის დროს მთელ მინდვრებს გადაივლიდა ხოლმე. მოძღვარმა და მისმა სამწყსომ გაუკეთეს ამ მდინარეს კალაპოტი და გააკეთეს მასზე რამდენიმე ხიდები.

კლდოვანი მაზრის მცხოვრებნი რომ დაეხსნა სიღარიბისაგან, ობერლეინი მეცადინეობდა გაეუმჯობესებია გლეხების მეურნეობა: მისი ხელმძღვანელობით მრევლმა გასწმიდა მინდვრები ქვებისაგან, და ეხლაც ეს ქვები, რომელნიც წინეთ მოსავლის მოყვანას ხელს უშლიდენ, ეხლა საყანეებს სამძღვრავენ ერთი-ერთმანეთისაგან, და ნათესებს იფარვენ საქონლისაგან. ობერლეინმა ბევრ ახალ-გაზდა პირებს გადასცა საჭირო ცნობები მეურნეობაზე და დაუწესა ყველას კანონად, რომ თვითეულმა ახალ-გაზდამ წმიდა ზიარებამდის უსათუოდ ორი ხე მაინც დარგოს. მიწის მუშაკნი დიდის გაჭირებით შოობდნენ მიწის სამუშაო იარაღს: მოძღვარმა გაალო ორი დუქანი, სადაც უსაჭიროესი მიწის სამუშაო იარაღები იყიდებოდნენ შედარებით უფრო იაფად, ვინემ სხვაგან და მასთან ყველას შეეძლო წაეღო ნისიათ. ამ კლდოვანი მაზრის გლეხებმა უბრალო ტყის ვაშლის მეტი ხილი არ იცოდენ; ობერლეინმა თავისი საკუთარი მაგალითით აიძულა სამწყსო, რომ გაეშენებიათ სხვა-და-სხვა საუკეთესო ხეხილნი; და რომ ხალხის სიზარმაცე დაეძლია და მიეჩვია ისინი ამ შრომისთვის, ობერლეინმა თავისი ხელით გააშენა ბაღი და თვით გზასთან, რომ ყოველ გამვლელს დაენახა მისი შრომის ნაყოფი. მიწა, რომელიც გაფუჭებული იყო ცუდი მუშაობით, შესაფერად ვერ აკმაყოფილებდა მუშაკის შრომას: ობერლეინმა ასწავლა გლეხებს მიწის დანაკელება. გააუმჯობესა შინაური პირუტყვების ჯიში, გააშენა სათიბები და შემოიღო მიწის სარწყავი იარაღები. ყოველ ახალ ცვლილებას ჯერ თვითონ გამოცდიდა ხოლმე და რომ შემდეგში კიდევ უფრო გაეუმჯობესებია მეურნეობა, შეადგინა გლეხებიდამ სოფლის სამეურნეო საზოგადოება.

ამ კლდოვანი მაზრის მცხოვრებთა არავითარი ხელოსნობა არ იცოდნენ, ამიტომ ობერლეინი ურჩევდა ზოგიერთ მშობლებს, რომ თავიანთი შეილები მიეცათ სხვა-და-სხვა მოხელეებთათვის. ობერლეინმა ასწავლა სამწყსოს ბამბის რთვა და ამით ცოტა სადავათი მისცა ამ მაზრის მცხოვრებთ.

ჩაიმე სნეულების დროს ამ კლდოვანი მაზრის მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებოდნენ: ვერ შოობდნენ ვერც წამალს და არც ექიმი იყო მთელს მაზრაში. ობერლეინმა თავის საკუთარს სახლში გაიწყო აფთეკა, საიდამაც ყველას შეეძლო წამლის უფასოდ მიღება; ერთი ნიჭიერი ახალ-გაზდა კაცი ობერლეინმა გაგზავნა სტრასბურგში, რომ მას ამ ქალაქში შეესწავლა მედიცინა და ხირურგია და რამდენიმე ქალს ასწავლა ავად-მყოფების მოვლა; გარდა ამისა მოძღვარმა ასწავლა მრევლს, თუ რა საშუალება უნდა ეხმარათ დამხრჩვალების, გაყინულთა და სულ შეგუბებულთა მოსაბრუნებლად. გლეხებს სახლები ხშირად ეწოდათ ცეცხლისაგან და ამიტომ ობერლეინმა შემოიღო რამდენიმე ცეცხლის საქრობი იარაღები როგორც მაგალ. ჩანგლები, კიბები და ცეცხლის საქრობი მაშინა.

(დასასრული შემდეგში).

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: სემინარიის ახალი წესდება, გაგრძელება.—არა ოფიც. ნაწილი: წინანდელი მდგომარეობა ჩვენი მონასტრებისა და მათი ზნეობრივი გავლენა ხალხზე.—ახალციხიდამ.—სამეგრელოდამ.—კანკელის კეთების საქმე ჩვენში.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—მატიანე.—საოცარი და საზიზღარი მკვლელობა.—ჟურნალ გაზეთთაგან.—ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება.

*Доз. цензурою Кутаисъ, 14 Мая 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძის და ფერაძისა.

# ოფიციალური ნაწილი
## «მწყემსისა.»

განჩინება უწმიდესი სინოდისა 5—18 სეკტემბრამდის 1884 წლისა, № 1801, უმაღლესად დამტკიცებულს წესდებულებებზედ და შტატებზედ სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა.

(გაგრძელება.)

§ 161. Ნაჭმელი ეძლევათ მოსწავლეთ უბრალო, მაგრამ ახალი სამზადისიდგან და საკმაოდ საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე.

§ 162. Ტანისამოსი აცვიათ მოსწავლეთ საკადრისი და წლის დროთა შესაფერი. ამ წესს ემორჩილება ყველა მოსიარულე მოსწავლენიც.

§ 163. Ჩივთების რიცხვით, რომლებიც ეძლევათ საზოგადო ბინებში მცხოვრებ მოსწავლეთ ტანისამოსიდგან, ფეხთ-საცმლიდგან და სარეცხიდგან და მათი ხმარების ვადები ისაზღვრებიან, ეპარქიის არქიერის დამტკიცებით, სემინარიის სამმართველოსაგან.

§ 164. კურსის დასრულების დროს, სახელმწიფო ხარჯზე მყოფ მოსწავლეთ ეძლევათ ნება დაიტოვონ ტანისამოსი და სარეცხი, რომელთაც ისინი ხმარობენ.

§ 165. §§ 159 და 160 განმარტებული წესდებანი ვრცელდებიან მოსწავლეთა ნაქირავებ სადგომზედაც.

§ 166. Ეს სადგომები უნდა დაქირავებულ იქმნენ რაც შეიძლება ახლოს სასწავლებელთან, მეოჯახე მცხოვრებთაგან კარგის სახელით, უმეტესად სამღვდელოთაგან.

§ 167. Სასწავლებლის მთავრობა თვალყურს ადევნებს რა მოსწავლეთ ცხოვრებას თავისუფლად ნაქირავებ სადგომებში, აქცევს ამასთანავე მუდმივს ყურადღებას კეთილ-სარწმუნოებას, ზნეობითი მხრით სადგომების გამქირავებელ პირთა და სხვათა მათთან მცხოვრებთა.

§ 168. Თუ ვინიცობაა ეჭვია ამ პირთ კეთილ-სარწმუნოებაში, სემინარიის მთავრობას შეუძლია მოითხოვოს მშობლებიდგან დაუყოვნებელი გადაყვანა მათი შვილების სხვა სადგომებში, და საზოგადოდ უჩვენოს მშობლებს კაცები, რომელთაც სასწავლებლის სამმართველო იცნობს.

§ 169. Სემინარიის სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მოსწავლენი, თუ ვინიცობაა გადავიდენ სასულიერო წოდებიდგან და უწყებიდგან სამოქალაქოში, სასწავლო კურსის შესრულებამდის, ან იმის შემდეგ, ვალდებულნი არიან დააბრუნონ მათ შესანახავად დახარჯული ფული. Სემინარიის სამმართველოს ნება აქვს, არქიერის დამტკიცებით, ვადები დანიშნოს გადასახადი ფულისა.

§ 170. Შტატი სემინარიის შენახვა ისაზღვრება წესდებულებაზე თანდართული შტატით.

### თავი XIII.—სემინარიების უფლებებზე და უპირატესობაზე.

§ 171. Სემინარიებს აქვსთ საკუთარი ბეჭდები, დიდი და პატარა, სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით და ზედ-წარწერილობით: «ამა და ამ სემინარიის სამმართველოს ბეჭედი.»

Შენიშვნა. დიდი ბეჭედი ინახება რექტორთან, პატარა კი—სამმართველოს სეკრეტართან.

§ 172. სემინარიები თავისუფალნი არიან სასწვრის ბაჟისაგან მათი საქმეების შესახებ გასაგზავნი და მათ ბეჭედ დასმული ქაღალდებისა და ნივთებისთვის, როდესაც უკანასკნელნი ერთ ფუთზე მეტს არ იწონიან.

§ 173. Სემინარიები თავისუფალნი არიან ღერბის, (КРѢПОСТНЫХЪ) და სხვა ბაჟების გადახდისაგან მათ (სემინარიების) სახელზე შესრულებული საბუთების შესახებ და საზოგადოდ შესახებ ყველა საქმეთა, რომელნიც მათ ეკუთვნიან.

§ 174. Სემინარიის სახლები თავისუფალნი არიან სასადგომო ვალდებულებისგან, როგორც მართებლობის დანიშნვნით მოხელეთა დაყენებით (ПОСТОЕМЪ), აგრეთვე ფულით და ამასთანავე ფულის მოკრებისგანაც ქალაქის სასარგებლოდ.

წესი ესე ვრცელდება სემინარიათ საკუთარს იმ შენობებზე, რომლებსაც მოაქვს შემოსავალი მათი გაქირავებით.

§ 175. სემინარიებში მოსამსახურე პირთ უფლებანი და უაღრესობანი ისაზღვრებიან გან-საკუთრებითი განჩინებით.

176. **მ**ოსწავლენი, რომელთაც პირველს რიგში დაასრულეს სწავლის სრული კურსი სე-მინარიაში, იღებენ სტუდენტის წოდებას.

§ 177. **ს**ემინარიის სტუდენტები, მათი გან-მწესების დროს ეპარქიალურ ან სასულიერო სასწავლებლის სამსახურში, სარგებლობენ უპი-რატესობაებით მათ წინაშე, რომელთაც ეს წო-დება არ მიუღიათ; თუ ვინიცობაა შევიდენ სამო-ქალაქო სამსახურში, მწესდებიან იმათში, წოდე-ბის სხვაობის გარეშე, მეთოთხმეტე კლასის ჩინით.

§ 178. **მ**ოსწავლენი, რომელთაც მიღებული აქვსთ მოწმობა სწავლის სრული კურსის დას-რულების სემინარიაში, მაგრამ რომელნიც არ ღირსებულან სტუდენტის წოდებას, თუ ვინი-ცობაა შევიდენ სამოქალაქო სამსახურში, თუ შთამომავლობით აქვსთ ამის უფლება, ეძლევათ პირველი საკლასე ჩინი, შესრულების შემდეგ სამსახურის ვადებისა, რომელნიც განსაზღრულ არიან 309 მუხ. სამართალთა შეკრებილებისა ტ. III. წესდებ. სამსახურზე განჩინებისაებრ მმართველობისაგან. (გამოც. 1876).

§ 179. **ა**ტტესტატები, რომელთაც აძლევენ სწავლის კურსს შესრულებულთ სემინარიაში, იღებიან სახეში მათი შესვლის დროს სასულიე-რო აკადემიებში და სხვა მაღალ სასწავლებ-ლებში, ამ სასწავლებლების წესდებათა საფუძ-ველზედ.

**ს**ია სასწავლო საგანთა სემინარიებისთვის გაკ-ვეთილთ რიცხვის ჩვენები თურთ თითოეულ მათ-განზე. (დამატება სასულიერო სემინარიების წესდებისა № 1).

| საგნების დასახელება. | რიცხვი გაკვეთილთა. I | II | III | IV | V | VI | სულ გაკვე-თილი რიცხვი სემინარიაში. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ს**აღმრთო წერილი . | 4 | 2 | 4 | 3 | 3 | 3 | 19 |
| **დ**აბადების ისტორია . | » | 2 | » | » | » | » | 2 |
| **რ**უსული მშვენიერ-სიტყვა-ობა ლიტერატურის ისტორიით თურთ . | 4 | 4 | 3 | » | » | » | 11 |
| **ბ**ერძნული ენა . . . | 4 | 4 | 2 | 2 | 1 | 1 | 14 |
| **ლ**ათინური ენა . . . . | 4 | 4 | 2 | 2 | 1 | 1 | 14 |
| **მ**ათემატიკა . . . . . | 3 | 3 | 3 | » | » | » | 9 |
| **ფ**იზიკა . . . . . | » | » | » | 3 | » | » | 3 |
| **ს**აყოველთაო და რუსუ-ლი ისტორია . . | 3 | 3 | 3 | » | » | » | 9 |
| **ლ**ოღიკა . . . . . . | » | » | 2 | » | » | » | 2 |
| **ფ**სიხოლოგია . . . . | » | » | » | 2 | » | » | 2 |
| **დ**აწყებითი საფუძველნი და მოკლე ისტორია ფილოსოფიის . . | » | » | » | » | 3 | » | 3 |
| **ს**აეკკლესიო ისტორია, ისტორია რუსეთის ეკკლესიისა და მხილე-ბა მწვალებლობისა. | » | » | 2 | 3 | 4 | 4 | 12 |
| **ლ**იტურგიკა . . . . | » | » | » | 1 | 2 | » | 3 |
| **ჰ**ომილეტიკა . . . | » | » | » | 2 | 1 | 1 | 4 |
| **დ**აწყებითი (основное) ღვთის მეტყველება | » | » | » | » | » | 1 | 1 |
| **ზ**ნეობითი ღვთის მეტყ-ველება . . . . . | » | » | » | » | » | 2 | 2 |
| **პ**რაქტიკული სახელ-მძღვანელო სულიერ მწყემსთათვის . . | » | » | » | » | 2 | 2 | 4 |
| **დ**იდაქტიკა . . . . | » | » | » | » | 1 | 1 | 2 |
| **ს**აეკკლესიო გალობა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 |
| **ჯ**ამი გაკვეთ. კვირაში: | 23 | 23 | 22 | 23 | 20 | 20 | |

**შ**ენიშვნა: 1) **ფ**რანცუზული, ნემეცური და ებრაული ენები, ხატების ხატვა და გიმნასტიკა დადებული არიან კლასგარეთ დროს.

2) **უ**წინდელი და ადგილობრივი საშვალებე-ბით შენახული რუსის მწვალებლობის კათედრე-ბი რჩებიან უწინდელს საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებ-ლების წესდებულება.

### თავი I.—საზოგადო დებულებანი.

§ 1. სასულიერო სასწავლებლები არიან სას-წავლო-აღსაზრდელი დაწესებულებანი პირველ-დაწყებითის განათლებისა და მომზადებისთვის ყმაწვილთა მსახურებისთვის მართლ-მადიდებე-ლის ეკკლესიისადმი.

§ 2. სასულიერო სასწავლებლები ინახებიან უწმიდესი სინოდის ჯამთაგან, შემწეობაებით და საშვალებაებით, რომელთაც პოულობს თითოეუ-ლი ეპარქიის სამღვდელოება.

§ 3. სასულიერო სასწავლებლები თითო-ეულს ეპარქიაში უწმიდესი სინოდის უმთავრეს მმართველობის ქვეშ იმყოფებიან ეპარქიის არ-ქიერის გამგეობაში და მიენდობიან ადგილობ-რივის სამღვდელოების მზრუნველობას.

§ 4. სასწავლო-აღსაზრდელის ნაწილისა შესახებ სასულიერო სასწავლებლები იმყოფებიან ადგილობრივის სემინარიის სამმართველოების ხელმძღვანელობის ქვეშე.

§ 5. სასწავლებელში დაწესებულია სამ-მართველო საქმეებისათვის შესახებ სასწავლო, ზნეობით და სამეურნეო ნაწილთა.

§ 5. სასწავლებელში მსახურებენ: ზედამხედ-ველი, მისი თანაშემწე, მასწავლებელნი და სა-პატიო მცველი სამეურნეო ნაწილზედ.

§ 7. რიცხვი სასწავლებლებისა თითოეულს ეპარქიაში და რიცხვი მოწაფეთა თითოეულს სასწავლებელში ისაზღვრებიან სასწავლებლების შესანახავთ საშვალებაებით და ადგილობრივი სამღვდელოების მოთხოვნილებაებით.

§ 8. სასწავლებლებში მიიღებიან ადგილობ-რივის სამღვდელოების შვილები უსასყიდლოდ და სხვა წოდებათაგან სასყიდლით სწავლებისა-თვის.

§ 9. სასწავლებელში დაწესებულია ოთხი კლასი წლიური კურსით თითოეულში.

შენიშვნა: ადგილობრივი სამღვდელოების სურვილისა მებრ სასწავლებლებში შეიძლება გაიხსნას, ეპარქიის არქიერის ნებართვით, მო-სამზადებელი სასწავლებლები.

### თავი II.—ეპარქიის არქიერის უფლებაზე სასწავ-ლებლების შესახებ.

§ 10. ეპარქიის არქიერი, როგორც უმთავ-რესი უფროსი თავისი ეპარქიის სასულიერო სასწავლო დაწესებულებაებისა და მქონი უმაღ-ლესის ზედამხედველობისა სასწავლებლებზედ, ნახულობს მათ ყოველს დროს, როცა საჭიროდ დაინახავს, შედის ვრცელს განხილვაში გამგეო-ბისა და რწმუნდება, თუ რა ხარისხზედ სდგას მათი კეთილ-წესიერება.

§ 11. ყველა ზომებზედ შესანიშნავ ნაკლუ-ლევანებათა მოსაშორებლად, ანუ სასწავლებ-ლის რომელიმე ნაწილის გასაუმჯობესებლად ყოვლად სამღვდელო აძლევს სასწავლებლის სამმართველოს მიწერილობათა.

§ 12. რისცემს რა შენიშვნას, ვისიც ჯერ არს, შენიშნულს უწესოებაზედ სამსახურის შესა-ხებ, ყოვლად სამღვდელო, თუ ვინიშობაა მძიმე დანაშაულობა აღმოჩნდა თანამდებობის პირის მხრით, მიუწერს სასწავლებლის სამმართველოს დანაშაულის დროებით გარდაყენებაზე დანამდე-ბობიდგან, ხოლო დანაშაულობის კანონიერის წესით გამოძევის შემდეგ შვრება შესაფერს გან-კარგულებას.

§ 13. ეპარქიის არქიერი ყოველი სასწავ-ლო წლის გასვლის შემდეგ, უდგენს უწმიდეს სინოდს ანგარიშს სასწავლებლების მდგომა-რეობაზე სასწავლო და ზნეობითი მხრით.

§ 14 ეპარქიის არქიერი დროებით უშვებს ზედამხედველს და მისს თანაშემწეს; მაზედვეა დამოკიდებული მასწავლებლების გაშვებაც სას-წავლო დროს ვადით უმეტეს რვა დღისა, მაგ-რამ არა უმეტეს ოთხი თვისა.

§ 15. ეპარქიის არქიერი აჯილდოვებს სა-კუთარის უფლების საზღვართა შორის ან შუამ-დგომლობს სასწავლებლის თანამდებობის პირთა დაჯილდოებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 16. სამღვდელოების შუამდგომლობისა მებრ ეპარქიის არქიერი ნებასრთავს პარალელურ განყოფილებათა გახსნას არსებულ სასწავლებლებში და მოახსენებს უწმიდეს სინოდს ეპარქიაში ახალი სასწავლებლების გახსნაზე.

თავი III.—ეპარქიის სამღვდელოების დამოკიდებულებაზე სასწავლებლებთან.

§ 17. თითოეული ეპარქია, რიცხვისა მებრ მათში მყოფ სასულიერო სასწავლებელთა, გაიყოფება ნაწილებად, რომელთაც ეწოდებათ სასწავლებლის ოლქები, რომელთა მიჯნები განისაზღვრებიან ეპარქიის მთავრობისაგან.

§ 18. სამღვდელოებამ, რომელიც იმყოფება სასწავლებლის ოლქში, უნდა იზრუნოს ამ ოლქის სასწავლებელზე.

§ 19. ეპარქიის არქიერი, მიხედულობისა მებრ საჭიროებისა, შვრება განკარგულებათა შეკრებილებაზე ყრილობათა სასწავლებლის ოლქის სამღვდელოთაგან. რიცხვი სამღვდელო პირთა ყრილობების შესადგენად და მათ არჩევის ღონისძიებანი ისაზღვრება ეპარქიის ყოვლად სამღვდელოსაგან.

§ 20. ყრილობაზე ვალდებულნი არიან დაესწრონ სასწავლებლის სამმართველოს წევრნი, აღრჩეულნი სამღვდელოებისაგან (§ 31), რომლებიც ერთის მხრით აძლევენ ყრილობას ცნობებს სასწავლებლის საქმეების შესახებ, რომელთაც (ცნობებს) ის (ყრილობა) დაინახავს საჭიროდ ჰქონდეს თავიანთ რჩევებზე, ხოლო მეორე მხრით მოახსენებს მას საკუთარ განცხადებათა სასწავლებლის საჭიროებებზე და ზომებზე მათ დასაკმაყოფილებლად.

§ 21. ყრილობა ირჩევს თავის შორის თავსმჯდომარეს, რომელიც აძლევს ყრილობის მოლაპარაკებათა ჯეროვანს მიმართულებას, იცავს რიგს წარმოდგენილი კითხვების განხილვის დროს, თვალ-ყურს ადევნებს კანონიერებას და წესს რჩევათა, ჰკრებს ხმებს და უცხადებს ყრილობას უმეტესობიდგან მიღებულ გარდაწყვეტილებათა.

§ 22. ყრილობის საქმეთა საგნად შეიძლება იყოს:

1) გამოძებნა ზომათა სასწავლებლის უმჯობესად შესანახავად და დანიშვნა ამ მიზნით ერთ-დროულ ან ყოველ წლიურ შემოწირულებათა სასწავლებლისთვის, როგორც საშუალებათაგან სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას, აგრეთვე სხვა წყაროთაგანაც.

2) განსაზღვრა ყოველ-წლიური გადასახადისა მოსწავლეთაგან სასწავლებელში, რომლებიც სხვა წოდებათაგან არიან.

3) არჩევა სასწავლებლის სამმართველოს წევრთა ადგილობრივ სამღვდელოთა შორის და სხვა კითხვები, ყოვლად სამღვდელოს ჩვენებისა მებრ.

§ 23. შეკრებილებაზე მიღებულ გარდაწყვეტილებათა თავმჯდომარე უდგენს ეპარქიის არქიერს, რომელიც მათ შესახებ შვრება შესაფერ განკარგულებათა, თავისი შეხედულობისა მებრ.

თავი IV.—სემინარიის სამმართველოს დამოკიდებულებაზე სასწავლებლებთან.

§ 24. სემინარიის სამმართველო ეხმარება კანონიერს და წარმატებითს გახსნას სასწავლო-აღმზრდელი მოქმეოებისა სასულიერო სასწავლებელთა, რომლებიც იმყოფებიან სემინარიითურთ ერთს ეპარქიაში.

§ 25. სემინარიის სამმართველოს მიენდობის განხილვა სასწავლებლების საგანთა პროგრამების და მოპოვება სასწავლო სახელმძღვანელოთა, თუ ესრეთნი არ არიან დანიშნულნი უწმიდესი სინოდის მიერ.

§ 26. სემინარიის სამმართველო პოულობს სასწავლებელთათვის საუკეთესო სასწავლო საშვალებათა მაგალითებ: ლექსიკონებს, გეოგრაფიულ რუკებს, ყრმათათვის საკითხავ წიგნებს და სხვა.

§ 27. იგი განიხილავს წარდგენათა სასწავლებლის სამმართველოების საგნების შესახებ, რომელნიც შეეხებიან სასწავლო და აღზრდითი ნაწილთა და ადგენს მათ შესახებ თავიანთ დასკვნათა.